საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-10/61

ქ. ბათუმი **01 მაისი , 2023 წ.**

ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილებისა და „ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 11 აპრილის N01-10/50 ბრძანებისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის, ლევან ტარიელაძის 2023 წლის 28 აპრილის N469366 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 11 აპრილის N01-10/50 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში გამოცხადებული კონკურსი სტაჟიორთა შერჩევის მიზნით დამტკიცდეს **საკონკურსო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლევან ტარიელაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) გოჩა სურგულაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე , კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) სალომე ჯინჭარაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

დ) გიორგი დიასამიძე - იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

ე) ზვიად ბერაძე - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

ვ) დალი კახიძე - საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მთავარი სპეციალისტი , კომისიის წევრი.

2. წინამდებარე ბრძანებით შექმნილი კომისიის პირველი სხდომა გაიმართოს 2023 წლის 2 მაისს 12:00 საათზე, სადაც მოხდება კონკურსანტთა განაცხადების გაცნობა და გადარჩევა. ხოლო,

მეორე სხდომა - 2023 წლის 4 მაისს 12:00 საათზე, სადაც გაიმართება გასაუბრების ეტაპზე გადასულ კონკურსანტებთან გასაუბრება და სტაჟიორთა შერჩევა.

3. კომისიის სხდომების ჩატარების ადგილად განისაზღვროს ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.N35, კორპუსი N2, პირველი სართული, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი.
4. საკონკურსო კომისიის მდივანმა უზრუნველყოს კონკურსანტების ინფორმირება გასაუბრების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ, კონკურსანტების მიერ მითითებული საკონტაქტო საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით.
5. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).
6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს იურიდიულ დეპარატმენტს, საქმისწარმოების სამსახურსა (კანცელარია) და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.
7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
ასოცირებული პროფესორი

მერაბ დიასამიძე